ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-93. 93241872**

თარიღი:**05/07/2024**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ №14-ი განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ №14-ი განკარგულების დანართში და საპივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან ამოღებულ იქნას შემდეგი ქონება:

1.1. ქალაქ ლაგოდეხში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7545.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 54.01.54.584) (ყოფილი სანიტარული ნაწილი);

1.2. სოფელ ჭიაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 25440.00კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 54.06.58.354);

მუხლი 2

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი